პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით
სამშაბათი, 25 მარტი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 5 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 459 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე.

საბჭოთა კავშირის და რუმინეთის მოლაპარაკების გამო.

ამ მოკლე ხანში ქალაქ ვენაში გაიმართება საბჭოთა კავშირის და რუმინეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს ყველა სადავო საკითხები ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

რუსეთის დელეგაცია უკვე გაემგზავრა ვენისაკენ.

მთავარი და საჭირბოროტო საკითხი, რომელიც უნდა გადაჭრას ამ კონფერენციამ ეს არის ბესარაბიის საკითხი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, თუ როგორ ავაზაკურად შეიჭრა რუმინეთის საოკუპაციო ჯარები 1918 წელში ბესარაბიაში და თუ რა რიგ ჯალათურად მათ სისხლში ჩაახრჩვეს მოლდავიის სოციალისტური რესპუბლიკა. რუმინეთის მტაცებელმა იმპერიალიზმმა ჩამოგლიჯა საბჭოთა რუსეთს ბესარაბია და მოინდომა მისი სამუდამოთ მისაკუთრება.

ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი დაისმებოდა საკითხი რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკების შესახებ რუმინეთის მთავრობა წინასწარ პირობათ მოლაპარაკების დაწყებისათვის კატეგორიულად მოითხოვდა ჩვენგან, რათა ბესარაბიის საკითხზედ კრინტიც არ ყოფილიყო დაძრული.

რასაკვირველია ასეთი პირობაზე საბჭოთა ხელისუფლება არასდროს არ დაეთანხმებოდა, რადგან ეს ნიშნავდა ბესარაბიის მშრომელი ხალხის საბოლოო დაღუპვას.

დღემდის რუმინეთის მთავრობა მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირისადმი და არავითარ ანგარიშს არ გვიწევდა. დღეს კი „ბოიარების“ რუმინია იძულებულია ქედი მოიხაროს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობის განმტკიცების ფაქტის წინაშე და იქონიოს ამ უკანასკნელთან ნორმალური კეთილ მეზობლური ურთიერთობა. საბჭოთა რესპუბლიკების ცნობა მთელი რიგი დიდ და პატარა ევროპის სახელმწიფოების მიერ და დღითი დღე ეკონომიური ძლიერების ზრდა შეურყევლად უკარნახებს რუმინეთს იქონიოს ჩვენთან მშვიდობიანი დამოკიდებულება.

ამასთანავე ერთად ბესარაბიის მშრომელთა მოთმინებამ გადალახა თვის საზღვარს. ის საშინელი ტანჯვა და წამება, რასაც განიცდიან ბესარაბიის მუშები და გლეხები აიძულებთ მათ აღამაღლონ თავისი ხმა რუმინეთის იმპერიალისტური მთავრობის წინააღმდეგ. ყოველ დღე რადიოს მოაქვს სულ ახალი ცნობები თუ როგორ იზრდება სტიქიური მოძრაობა ბესარაბიის მშრომელთა შორის რუმინეთის კლანჭებისაგან განთავისუფლებისათვის და მოლდავიის სოციალისტური რესპუბლიკის დამყარებისათვის, როგორც საბჭოთა საფედერაციო განუყრელ ნაწილისა.

ამიტომ ეს ორი მომენტი საშვალებას აძლევს ჩვენ დელეგაციას დასვას ბესარაბიის საკითხი ვენის კონფერენციაზე მთელი სიფართოვით.

ცხადია რუმინეთის დელეგაცია გაილაშქრებს ამის წინააღმდეგ. ამას ლაპარაკობენ დღევანდელი რადიო ცნობები, რომ რუმინეთის მთავრობამ თავის დელეგაციას უკვე პროტესტის ტექტიც კი ჩააბარა, რომელიც მათ უნდა გამოაქვეყნონ კონფერენციაზე იმ შემთხვევაში თუ კი საბჭოთა დიპლომატია წამოაყენებს ბესარაბიის საკითხს.

ამის გარდა რუმინეთის მთავრობამ გააძლიერა რეპრესია საბჭოთა კავშირთან შეერთების მოძრაობის წინააღმდეგ. ჯარებიც კი გადასხა ბესარაბიაში და ტრანსილვანიაში. ერთი სიტყვით რუმინეთის იმპერიალიზმი უკვე მოემზადა წინააღმდეგობის გასაწევად.

ყოველივე ეს საწინააღმდეგო მზადებანი რუმინეთისა ცხადია შეუძლებლად ხდის რაიმე წინასწარი დასკვნის გაკეთებას ვენის კონფერენციის შედეგებზე. ჩვენ არ ვიცით რით დამთავრდება ხსენებული კონფერენცია. მაგრამ ერთი კი ნათელი და აშკარაა ადრე თუ გვიან რუმინეთის მთავრობა იძულებული იქნება იცნას საბჭოთა რესპუბლიკები და ხელი აიღოს ბესარაბიის მშრომელთა ჩაგვრაზე და მონობაზე.

ცოტა რამ კომუჯრედის მდივნების სემინარის შესახებ.

გაზეთ „წითელ არმიელის“ მე-446 №-ში მოთავსებულია წერილი ამხ. ს. ლომიძის კომუჯრედის მდივნების მოსამზადებელ სემინარის შესახებ, რომლის დაარსებას ავტორი სთვლის მიზან-შეწონილად პოლიტგანყოფილებასთან.

სემინარში უნდა იქმნენ ნაწილებიდან წარმოგზავნილი განსაზღვრული რაოდენობა რიგის პარტ-ამხანაგებისა—რომლებიც სემინარის დამთავრებისას დაბრუნდებიან თავიანთ ნაწილებში და სათანადო ხელმძღვანელობას გაუწევენ კომ-უჯრედებს.

მე არ შემიძლია უარვყო, რომ პარტ-ამხანაგებს სჭირდება მომზადება—და ყოველ გვარი სემინარები ამ მხრივ საჭიროა, მაგრამ საჭიროა არა რამოდენიმე პირებისათვის, არამედ ყველა რიგის პარტ ამხანაგებისათვის—და ამისათვის პოლიტ-განყოფილებასთან ასეთი სემინარის დაარსება და მისი საშვალებით რამოდენიმე ამხანაგების მომზადება დიდ სარგებლობას ვერ მოუტანს ჩვენს პარტორგანიზაციებს. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ ვიცით კომუჯრედის მდივნის დანიშვნა არ შეიძლება და როგორ შეიძლება რომ კურს დამთავრებულმა ამხანაგმა ხელმძღვანელობა გაუწიოს კომ-უჯრედს? შეიძლება ეს ამხანაგები სრულებით არ აირჩიონ უჯრედის ბიუროში. მაშასადამე რამდენიმე ამხანაგების მომზადება სარგებლობას ვერ მოგვცემს და კომუჯრედებს კიდევ არ ეყოლება სათანადო ხელმძღვანელები:

როგორ მოვიქცეთ?

ჩემის აზრით ამავე მიზნით შესაძლებელია ლეგიონსა, მის თანაბარ ნაწილებში და ზურგის ნაწილებისათვის შეიქმნეს წრე შეიძლება მათ ჰქვიოდეს სემინარები.

თავიანთ ერთეულების ფარგლებში—ყველა რიგის პარტ ამხანაგები ვალდებულნი გავხადოთ პარტ-დისციპლინის ძალით ჩაეწერონ აღნიშნულ წრეში მეცადინეობა მიმდინარეობდეს სისტემატიურათ (ე. ი. ყველა პარტ ამხანაგებისათვი) და იმავე პროგრამით რომელიც არსებობს აღნიშნულ სემინარისათვის.

მეორე გამოსავალიც არის, შესაძლებელია და მიზან შეწონილიც იქნება რომ ის პროგრამა რომელიც გარებულ უნდა იქნეს აღნიშნულ სემინარში—გადაეცეს ნაწილებში არსებულ პარტ წრეებს—მხოლოთ იმ მიხედულობით რომ პარტ-წრეების მეცადინეობა წარმოებდეს არა ერთხელ კვირაში როგორც ეხლა მიმდინარეობს არამედ უფრო ხშირათ — დაახლოვებით 2—3 ჯერ კვირაში.

პროგრამის დამთავრებამდე აი ეს ორი გამოსავალი რომლითაც შესაძლებელია სათანადო ხელ მძღვანელები მოვამზადოთ კომ უჯრედებისათვის და ხელმძღვანელობა კი შეეძლოს ყველა პარტიის წევრს.

საჭიროა ამხანაგებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ კითხვის ირგვლივ.

შალიკო.

შენიშვნა: ეს წერილი მიდის დისკუსიის წესით.

რედ.

რადიო-დეპეშები

— სპარსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირის საქონელზე.

— გრძელდება ლონდონის ტრამვაიზე მომუშავეთა გაფიცვები.

— საფრანგეთის 300 მსხვილი სინდიკატი მოითხოვს საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის მიერ სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.

— ამხ. სოკოლნიკოვის განცხადებით ფულის რეფორმა დამთავრებულ იქნება მაისის თვისთვის.

ბესარაბიის საკითხი

წინასწარ შეუდგენ თავდაცვის საქმეს.

რუმინეთის ბურჟუაზიული პრესა იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ შეადგინა ინსტრუქციები ვენის კონფერენციაზე მიმავალ დელეგაციისათვის. დელეგაციას მიეცა წინასწარ შედგენილი საპროტესტო დეკლარაცია იმ შემთხვევისათვის, თუ რომ საბჭოთა დელეგაცია აძრავს საკითხს ბესარაბიის შესახებ გაზეთ „დიმინრატ„-ის ცნობით, თუ საბჭოთა კავშირი უარს განაცხადებს ბესარაბიის რუმინეთზე შეერთების შესახებ, კონფერენცია დაუყონებლივ დახურულ იქნება.

ოპოზიციური პრესა უპასუხებს, რომ ამ ბოლო დროს გაუარესებული მდგომარეობა იტალია-რუმინეთს შორის შეასუსტებს რუმინეთის დელეგაციის პოზიციას ვენის კონფერენციაზე.

იაპონიის რატიფიკაცია ბესარაბიის დაპყრობაზე.

რუმინეთის პრესის ცნობით, იაპონია რატიფიკაციას უზამს ბესარაბიის ოქმს 24 მარტს. იაპონიის პარლამენტის გაშვების გამო, რატიფიკაციას ხელს მოაწერს იაპონიის იმპერატორი.

ბესარაბიის მოსახლეობა მოქმედობს აშკარად.

საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებამ ბესარაბიის პლებისციტის შედგენაზე ჰპოვა მხურვალე გამოძახილი ბესარაბიის მოსახლეობაში. უკანასკნელი აშკარად ესალმება საბჭოთა კავშირის მთავრობის მოთხოვნილებას. კიშინიოვის ლიცეიში მოსწავლეებმა მოაწყვეს რუმინეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და გაანადგურეს რუმინეთის სასკოლო ბიბლიოთეკა, რის გამოც 15 მოსწავლე გამორიცხულ იქნა ლიცეიდან. ბესარაბიის მოსახლეობა ბოიკოტს უცხადებს სათეატრო წარმოდგენებს რუმინულ ენაზე და რუმინულ ღმერთმსახურებსაც კი.

ხარკოვში მცხოვრებ ბესსარაბიელთა ყრილობა.

ბესსარაბიელთა მრავალ რიცხოვან ყრილობამ ხარკოვში მიმართა მოწოდებით ბესსარაბიის მუშებსა და გლეხებს, რომლებიდანაც მოითხოვენ მოლდავანთა მუშურ-გლეხური საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას რომელსაც კავშირი ექნება უსრკსთან.

საკავშირო ცაკისა და სრულიად უკრაინის ცენტრალურ აღმასკომისადმი მიმართვაში, ყრილობა ღრმა მადლობას უცხადებს უკრაინის და მთელი კავშირის ერებს მეგობრულ თანაგრძნობისათვის ბესსარაბიელთადმი, რომლებიც გაექცნენ რუმინეთის ბოიართა უღელს, პროტესტს აცხადებს წინააღმდეგ ბესსარაბიის ოკუპაციისა რუმინეთის ჯარების მიერ და მიმართავს უსრკსა და სსრკ-ს მთავრობებს თხოვნით შესძლონ მომავალ კონფერენციაზე რუმინეთის ჯარების გაყვანის საკითხის მოგვარება, რუმინეთის ადმინისტრაციის გაყვანა ბესსარაბიიდან და ბესსარაბიის ერების უფლებათა განხორციელება ნაციონალურ თვითგამორკვევის საფუძვლებზე.

საპროტესტო მიტინგი ოდესშჩინაში.

ოდესშჩინის მთელ რიგ ადგილებიდან შემოდიან ცნობები საპროტესტო მიტინგების შესახებ, რომლებიც იმართება ბესსარაბიის ემიგრანტების მიერ რუმინეთის მიერ ბესსარაბიის ოკუპაციის წინააღმდეგ.

მიტინგებზე გამოტანილი რეზოლიუციები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დელეგაციისაგან მიაღწიონ ბესსარაბიის თვითგამორკვევის საკითხის სასურველად გადაჭრას და მოლდავანთა სოციალისტურ საბჭ. რესპუბლიკის გამოცხადებას.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შესახებ.

რუმინეთის პარლამენტში, მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ, საგარეო საქმეთა მინისტრმა დუკამ, აღნიშნა რა „მშვიდობიანი ხასიათი რუმინეთის საგარეო პოლიტიკისა, მიუთითა, რომ დამოკიდებულება სსრკ—სთან მაინც არანორმალურია.

საბჭოთა დელეგაციის გამგზავრება.

21 მარტს მოსკოვიდან გაემგზავრენ საბჭოთა დელეგაციის წევრები და ექსპერტები რუმინეთთან მოლაპარაკების საქმეზე.

საბჭოთა კავშირი

საუბარი ამხ. ტროცკისთან.

როგორია ამხ. ლენინის სიკვდილის გავლენა საბჭოთა უფლებისა და რევოლიუციის ბედზე.

ამერიკულ საგაზეთო ტრესტის წარმომადგენელთან—ხერსტთან საუბარში, შეკითხვაზე, თუ როგორ გავლენას მოახდენს საბჭოთა უფლები-

სა და რევოლიუციის ბედზე ამხ. ლენინის სიკვდილი, ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ ამხ. ლენინის გარდაცვალებამ გააძლიერა საბჭოთა კავშირის მტრების იმედი საბჭოთა ხელისუფლების დასუსტებისა და დაქუცმაცების შესახებ. ეს ამტკიცებს დიდ პატივისცემას დიდი პიროვნების მისი მოსისხლე მტრების მხრივ. მაგრამ ეს იმედები აგებულია ყალბ აზრებზე, რომ ამხ. ლენინმა თითქოს დასტოვა სუსტი მემკვიდრეობა. საბჭოთა რევოლიუციის მტრები ამ ანგარიშშიაც სცდებიან.

რა მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას.

შეკითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა საბჭოთა კავშირის ეკონომიურ და საერთაშორისო პოლიტიკაზე, ამხ. ტროცკიმ უპასუხა, რომ ძნელია წინასწარმეტყველება, თუ რა უახლოესი პრაქტიკული შედეგები მოყვება იურიდიულად ცნობას. არ ცნობა იყო ფიქცია, ხოლო იურიდიულად ცნობა—მხოლოდ ამ უაზრო ფიქციის ლიკვიდაცია. მაგრამ ამით იხსნება ერთ-ერთი დაბრკოლება საბჭოთა კავშირის სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიური თანამშრომლობის გზაზე.

მუშური მთავრობის მნიშვნელობა ინგლისში.

შეკითხვაზე, თუ როგორ მნიშვნელობას აძლევს ამხ. ტროცკი მუშური მთავრობის მიერ ძალაუფლების აღებას ინგლისში, ამხ. ტროცკიმ მიუთითა, რომ დღეს მუშათა პარტიას აქვს, უეჭველია, სრულიად განსაკუთრებული ისტორიული შესაძლებლობა რადიკალური რეორგანიზაცია უყოს ინგლისს დემოკრატიული პარლამენტარიზმის ნიადაგზე. ის გარემოება, რომ მუშათა პარტია არ შეადგენს დღევანდელ პარლამენტში აბსოლიუტურ უმრავლესობას, არ აქვს დიდი მნიშვნელობა. რომ მუშათა პარტიას გაბედულად წამოეყენებია ასეთი საშინაო და საერთაშორისო პროგრამა, რომელიც შეხვდებოდა პარლამენტის აუცილებელ წინააღმდეგობას, მაშინ ახალი არჩევნები მისცემდა მუშათა პარტიას დიდ უმეტესობას.

ამხ. ტროცკის ეჭვი შედის იმაში, რომ შესძლებს კი მუშათა პარტია აწარმოოს პარლამენტარიზმის ნიადაგზე ისეთი საქმიანობა, რომელიც შეასუსტებდა აუცილებელ კლასიურსა და საერთაშორისო რყევას. ეჭვს გარეშეა, სთქვა ამხ. ტროცკიმ, რომ რეფორმისტების შესაცვლელად მოვლენ ნამდვილი რევოლიუციონერები.

საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე.

შეკითხვაზე, თანახმაა თუ არა ამხ. ტროცკი საბჭოთა კავშირის თანამშრომლობაზე ინგლისის მუშათა მთავრობასთან საერთაშორისო კონფერენციის მოწვევაში—განიარაღებისა და ვერსალის მოლაპარაკების გადასინჯვის საქმეში,—ამხ. ტროცკიმ მიუთითა, ჩვენ ვითანამშრომლებთ ინგლისის მუშათა მთავრობასთან იმ მიზნით, რათა გადაიდგას ნაბიჯი წინ განიარაღების გზაზე ეკონომიური თანამშრომლობის შესამსუბუქებლად და ვერსალის ხელშეკრულების სალიკვიდაციოდ. ასეთი თანამშრომლობა სავსებით დამოკიდებულია ინგლისის მუშათა პარტიაზე.“

უცხოელ კრედიტორთა მოთხოვნილებასა და ერთალიგაში შესვლის შესახებ.

შეკითხვაზე, მომხრეა თუ არა ამხ. ტროცკი იცნოს მოთხოვნილება უცხოეთის კერძო კაპიტალისტებისა და თანახმაა თუ არა ის, რათა გერმანიის დაშვების შემდეგ ერთა ლიგაში უკანასკნელში შევიდეს საბჭოთა კავშირიც, იმ შემთხვევაში თუ კი იქნება შესაძლებლობა შეიქმნას ერთა ლიგაში ძალთა ახალი გადაჯგუფება საფრანგეთისა და ანტანტის წინააღმდეგ,—ამხ. ტროცკიმ განაცხადა, რომ არაფერი არ შეუძლია დაუმატოს იმას, რაც უკვე განცხადებული იყო საბჭოთა დელეგაციის მიერ.

ერთა ლიგა და საბჭოთა კავშირი.

ერთა ლიგის გენერალურმა სეკრეტარიატმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის საგარეო კომისარს საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტი ომის თავიდან აშორებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ და სთხოვა აცნობონ საბჭოთა კავშირის შეხედულება კანონ პროექტის შესახებ.

საგარეო საქმეთა კომისარმა 12 მარტს გაუგზავნა ამის პასუხი, სადაც აღნიშნავს, რომ საკითხი საზოგადოდ შეიარაღების შესახებ უნდა სავსებით გამოყოფილ იქნას საერაშორისო ორგანიზაციის საკითხიდან. საბჭოთა კავშირი მოითხოვს საჩქაროდ საერთაშორისოდ გადასინჯვას საკითხისა ყველა ქვეყნების შეიარაღების პროპორციულად შემცირების შესახებ, მუდმივი ჯარების მაქსიმუმის სწორ განსაზღვრას საზღვაო და საჰაერო ფლოტებისა, სადაც მიღებულ იქნება მხედველობაში მოსახლეობის რაოდენობა, ნაციონალური შემოსავალი და ყოველი სახელმწიფოს ადგილობრივი თავისებურობა; მოითხოვს საკითხის გადასინჯვას ყოველი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ, ყველა არალეგალურ ორგანიზაციების გაშვების შესახებ და ურჩევს ქვე საკანტროლო სანაპირო ზონების ორგანიზაციის მოწყობას.

სახალხო საგარეო კომისარი აღნიშნავს, რომ ერთა ლიგა ვერ მოქმედობს სწორედ, როდესაც სვამს შეიარაღების შემცირების საკითხს პოლიტიკურ მოლაპარაკების მიხედვით ომის საწინააღმდეგო გარანტიების შესახებ. რაიც სინამდვილეში მოასწავებს მოქმედებათა გადადებას ამა თუ იმ საკითხში.

მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციის საკითხის შესახებ საბჭოთა ხელისუფლება უარყოფს დღევანდელ წყობას ერთა ლიგისა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს პოლიტიკურ იარაღს ქვეყნების განსაზღვრულ კოალიციისა.

საბჭოთა მთავრობა ილტვის ხელი შეუწყოს მსოფლიო კონფლიქტების მოგვარებას, ახალი ომების აცილებას, სუსტი ერები დაიცვას და გამოსთქვამს სრულ მზად ყოფნას გამოიმუშაოს ყოველი გეგმა, რომელსაც ექნება მიზნად ამ ამოცანების ასრულება, მაგრამ გადაჭრით აცხადებს უარს ასეთი გეგმების გატარების მხარის დაჭერაზე, რომლებიც პრაქტიკულად განხორციელების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს იარაღი ერთი სახელმწიფოს ხელში მეორეს წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა ამისათვის უარყოფს მსოფლიო ორგანიზაციის შექმნას, რომელიც ისარგებლებს უფლებით მიიღონ იძულებითი ზომები ცალკე სახელმწიფოების მიმართ. ასეთი სისტემა აუცილებლად გახდება იარაღი უფრო გავლენიან სახელმწიფოების ჯგუფის ხელში.

ჩვენ და ისინი.

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი.

300 მსხვილი ფინანსისტების მემორანდუმი.

საფრანგეთის მრეწველთა დელეგაციამ ჩააბარა მემორანდუმი მილიერანს, პუანკარეს, სენატის სავაჭრო კომისიის თავმჯდომარეს კლემანტალს და სავაჭრო პალატის თავმჯდომარეს პიუეშუს მემორანდუმი, რომელიც ხელმოწერილია 300 მსხვილი სავაჭრო სინდიკატებისა და ფირმების მიერ, რომელთა შეძლება უდრის რამოდენიმე მილიარდ მარკას.

მემორანდუმში გამოთქმულია სურვილი, რათა გაიგზავნოს მოსკოვში მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი და გარკვეულ იქნას შესაძლებელი სავაჭრო ურთიერთობის საქმე საბჭოთა კავშირის მთავრობასთან.

მემორანდუმის ავტორთა შეხედულებით, ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა მოსკოვში იქნებოდა ურთიერთშორის კავშირის დასაწყისი, რომელსაც მოყვებოდა სავაჭრო მისიათა გაცვლა-გამოცვლა—სავაჭრო შეთანხმების დამყარების მიზნით.

ინგლისი და საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობა ინგლის—რუსეთის კონფერენციაზე.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირის დელეგაციის შემადგენლობა ლონდონის კონფერენციაზე, დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. რაკოვსკი, წევრები ამხ. ამხ. ლიტვინოვი, სრულიად რუსეთის ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე ამხ. ტომსკი, სახფინკომის კოლეგიის წევრი ამხ. პრეობრაჟენსკი, სახელმწიფო ბანკის ყოფილი წარმომადგენელი ამხ. შეიმანი, სავაჭ. წარმომადგენელი გერმანიაში სტომონიაკოვი, დონის გუბპროფსაბჭოს თავმჯოდომარე რადჩენიო, მელითონეთა ცეკას და რკის სახალხო კომისარი შვერნიკი, თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს ყოფილი თავმჯდმარე ხიდირ ალიევ, მქსოველთა კავშირის თავმჯდომარე კუტუზოვი, რკინის გზელთა ცეკას წევრი ქიტკოვი, დელეგაციის გენერალური მდივანი და საგარეო სახალხო კომასარიატის კოლეგიის წევრი როტშტეინი.

ჩინეთთან მოლაპარაკების გარშემო.

ამ ჟამად ჩვენი ყურადღების ცენტრი მიქცეულია საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის გამართული მოლაპარაკებისაკენ, რომელმაც უკანასკნელ ხანებში მეტად რთული ხასიათი მიიღო.

როგორც ვიცით ამ რამოდენიმე დღეების უკან პეკინის მთავრობის წარმომადგენელმა ვანმა ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან ნორმალურ-დიპლომატიურ ურთიერთობის განახლების შეთანხმებაზე.

მაგრამ მეორე დღესვე ჩინეთის მთავრობამ უარი განაცხადა თავისი წარმომადგენელის ხელის მოწერის სანქციაზე და მით დაარღვია მოლაპარაკების ნორმალური მსვლელობა.

ცხადია პეკინის მთავრობის ასეთმა მოულოდნელმა და მეტად უტიფარმა მოქმედებამ აიძულა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი კატეგორიულად მოეთხოვნა მისგან სამი დღის განმავლობაში გადაჭრითი პასუხის მოცემა: თანახმაა თუ არა ჩინეთის მთავრობა იცნას საბჭოთა რესპუბლიკები იურიდიულად და განაახლოს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა მასთან!

რადიოს გადმოცემით პეკინის მთავრობა მეტის მეტად შეაფიქრიანა საბჭოთა დიპლომატიის ასეთმა კატეგორიულმა ტონმა და ის, თავის საგარეო მინისტრის ველინგტონის საშვალებით სცდილობს გამოასწორს წამხდარი საქმე. რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს ყველაფერი მომხდარის სურათი საჭიროა თვალი გადავავლოთ ჩინეთის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჩინეთი როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო არ არსებობს. მთელი მისი ტერიტორია წარმოადგენს დაუსრულებელ სამოქალაქო ომების ასპარეზს, რომელთაც აწარმოებენ მრავალი სხვა და სხვა მიმართულების პოლიტიკური ჯგუფები და პარტიები.

ამ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ყველაზედ უფრო ძლიერი არის სამი.

ჩრდილოეთ ჩინეთში გაბატონებულია ჩჟან-ზო-ლინი, ცენტრალურ ჩინეთს განაგებს ლენერალი—კაპიტალისტი ცაო-კუნი და უ-ბეი-ფუ, ხოლო სამხრეთ ჩინეთში ძალაუფლება ხელთ უპყრია „გომინდანის“ პარტიას სუნიატსენის მეთაურობით.

აი სამი მთავარი პოლიტიკური ძალები, რომელთა შორის წარმოებს დაუსრულებელი ომი მთელი ჩინეთის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

პირველი ორი პოლიტიკური ჯგუფები. ე. ი. ჩჟან-ზო-ლინი და ცაოკუნი აშკარა რეაქციონური ელემენტებია, რომლებიც გაბატონდენ იაპონიასა და ამერიკის იმპერიალიზმის საშვალებით.

რაც შეხება სუნიატსენს ის სასტიკი მტერია ყოველგვარ უცხოელ იმპერიალიზმისა. ის მომხრეა ჩინეთის სრული დამოუკიდებელი ცხოვრებისა და მისი განთავისუფლების უცხოელი კაპიტალის მონობისაგან და ყოველგვარ გავლენისაგან.

ჩვენ საბჭოთა დიპლომატიას საქმე აქვს პეკინის მმართველთან ცაოკუნთან, რომელიც ერთგული იარაღია საფრანგეთისა და ამერიკის იმპერიალიზმისა.

ეს ვაჟბატონი იძულებული იყო ჩვენთან მოლაპარაკება გაემართა ჩინეთის ფართე საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით. საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელ ხანებში მეტის მეტად გაძლიერდა ჩინეთის თითქმის ყველა საზოგადოებრივი ფენებში მოძრაობა საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების სურვილისა და მისი იურიდიულად ცნობის სასარგებლოთ.

ამავე დროს იქონია გავლენა მთელი რიგი დიდ სახელმწიფოთა მიერ საბჭოთა რესპუბლიკების ცნობის ფაქტმაც. მაგრამ საბჭოთა კავშირის-ჩინეთის დაახლოების საქმეს წინ აღუდგა იაპონიის, ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტების გაერთიანებული ფრონტი.

ყველაზედ მეტად გაანჩხლდა საფრანგეთი. არც გასაკვირია ეს.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა ხელთ იგდეს სამხრეთ ჩინეთის რკინის გზა, რომელიც გადასცა არენდის სახით პეკინის მთავრობამ „რუსეთ-აზიის ბანკს“. ეს ბანკი საფრანგეთის კაპიტალისტების საკუთრებას შეადგენს. გარდა ამისა სამხრეთ-ჩინეთის რკინის გზა აშენებულია რუსეთის მშრომელი ხალხის ნაოფლარი ფულით.

ეს რკინის გზა გარდა იმისა, რომ დიდ შემოსავალს აძლევს საფრანგეთის იმპერიალისტებს, იყო და არის ბაზა ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა და ბანდების, რომლებიც მოქმედებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პუანკარეს აგენტების მხურვალე დახმარებით.

ამრიგად სავსებით გასაგებია ის მუქარა რომლითაც საფრანგეთის მთავრობამ მიმართა ცაოკუნის მთავრობას, რათა დაუყონებლივ შეწყვეტილ იქმნას ყოველგვარი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.

ცაოკუნი როგორც ერთგული მონა უცხოელ იმპერიალიზმისა, რომლის დაუხმარებლად ის ერთ დღესაც ვერ გასძლებს, დაემორჩილა თავის პატრონის განკარგულებას და სისრულეში მოიყვანა ის.

ამრიგად იაპონიის, საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალისტები ყოველგვარ საშვალებას და ზომას მიმართავენ, რათა ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დაახლოებას და ამ ორ სახელმწიფოთა შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარებას.

მათ იციან, რომ საბჭოთა კავშირთან კეთილ მეზობლური ცხოვრებით ჩინეთის მშრომელი მასები თავს დააღწევენ იმპერიალიზმის უსაზღვრო ექსპლოოტაციის და ჩაგვრის მძიმე უღელს.

ჩინეთის განუზომელ ტერიტორიის სივრცეზე უკანტროლოთ მოთარეშე უცხოელი იმპერიალიზმი ამ დაახლოებაში გრძნობს თავის ბატონობის აღსასრულს ჩინეთში და მთელი თავისი არსით ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დამეგობრობას.

მაგრამ როდემდის სურთ საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის პირსისხლიან კაპიტალიზმის აკულებს შეინარჩუნონ თავისი ძალაუფლება ჩინეთში და უმოწყალოდ სძარცვონ და გაძლიტონ ჩინეთის ხალხი. დროა ბოლო მოეღოს მათ უპასუხისმგებლო თავხედობას.

თუმცა ცაოკუნის მთავრობამ საფრანგეთისა და ამერიკა-იაპონიის იმპერიალისტების დირექტივების ძალით უარი სთქვა შეთანხმებაზე, მაგრამ მისი მდგომარეობა მეტის მეტად უნუგეშო შეიქმნა. პეკინის მთავრობის უარმა საშინლად ააშფოთა ჩინეთის ხალხი.

დაწყებული პროფესორიდან და გათავებული უბრალო ხელოსანით ჩინეთის მოსახლეობის ფართო მასები მოითხოვენ მოლაპარაკების განახლებას საბჭოთა კავშირთან და მის დაუყონებლივ იურიდიულად ცნობას.

ჩინეთის ხალხის მოთმინებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. უცხოელების თავაშვებულმა ექსპლოატაციამ აამხედრა ის მათ წინააღმდეგ.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იქნება თუ ხვალ ან ზეგ იგივე ცაოკუნი ან სხვა ვინმე იძულებული გახდება დაუყონებლივ სისრულეში მოიყვანოს ჩინეთის ხალხის ნება და სურვილი, თუ არ სურს მას თავზე დაატყდეს იმავე ხალხის საშინელი რისხვა.

მონოლიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ
წითელ
ჯარში

საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობამ ქართულ ნაწილებში ფესვები ღრმად გაიდგა. ჩვენ მოგვეპოვება კლუბები სრული შტატებით ხან შტატდამატებითაც რადგან მცირე ნაწილსაც სურს ჰქონდეს კლუბი.

როგორი წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ქართულ დივიზიაში და სხვა დივიზიებში, (რუსულ, სომხურ და აზერბეიჯანულ) ამას გავიგებთ შედარებით.

მრავალში ჩვენ ჩამოვრჩენილვართ თუმცა პირველობაც გვეკუთვნის ზოგ შემთხვევაში. ვნახოთ ქვევით, საკლუბო მუშაობის სხვა და სხვა სახეობაში, რომელი ადგილი გვეკავია და ამის შემდეგ შევეცადოთ გამოვიტანოთ დასკვნა.

1. „ლენინის კუთხეები“-ს რიცხვით პირველი ადგილი.
2. მასიურ კლუბის მუშაობაში გავლილი მასით (წით. არმ.)—მეოთხე ადგილი.
3. სხვა და სხვა გვარი გართობების მოწყობით და ჩატარებით—მეხუთე ადგილი.
4. საკლუბო მუშაობაში უფროსთა და პოლიტმუშაკთა ჩაბმით მე-7 ადგ.
5. ხმა მაღალი კითხვით და ბაასებით—მესამე ადგილი.
6. მოგონების საათების მოწყობა—მე ხუთე ადგილი.
7. „ლენინის კუთხეებში“ მონაწილე წითელ არმიელთა სიმრავლით—მე ორე ადგილი.
8. „ლენინის კუთხეებში“ ჩაბმულ უფროსთა პოლიტ-შემადგ.—მე-4 ადგილი.
9. ადგილობრივი სამოქალაქო მოსახლეობის დასწრებით—0(!) ადგილი.
10. ცნობათა ყუთების (ბიუროებს) მუშაობით—მე-4 ადგილი.
11. წერილების გზავნით—მეხუთე ადგილი.
12. წრეებში მონაწილე სიმრავლით —პირველი ადგილი.

მოყვანილი ცხრილიდან ნათლად სჩანს უნდა დავწინაურდეთ და გამოვასწოროთ საქმე. ყურადღება უნდა მიექცეს დღიურების სწორად შევსებას. ზოგ შემთხვევაში თუ გადამეტებული რიცხვებით ივსება ცნობები, ზოგჯერ სულ არც-კი იწერება. მაგალითად ნუ თუ გარეშე პირთაგან ჩვენს კლუბებში იანვარში არავინ დაესწრო. ეს სიმართლესაა მოკლებული.

მე-2-3-4-5-6 ადგილებში ჩვენი დივიზია პირველობას იღებს.

ალ. მამულაშვილი.

ქართ. მსროლელ საარტილერიო დივიზიონი.

18 მარტი ღრუბლიანი დღეა. ბუნებასაც უგრძვნია დიდი დანაკლისი—დიადი მსხვერპლი იმ გმირთა, რომლებმაც შესწირეს თავისი სიცოცხლე პირველი კომუნისტური ცეცხლის დანთებას. ყაზარმის კედლები ალისფრათ გამოიყურება. სიცოცხლით სავსე წით.-არმიელები ფუსფუსებენ აქა-იქ, , მსჯელობენ 53 წლის წინ დაღუპულ კომუნარებზე და მათ მიერ წარმოებულ ბრძოლაზე.—ყველანი მოვიდა—გაისმა ხმა დარბაზის ერთ-ერთ კუნჭულში. პარიზის კომუნართა ხსოვნის აღსანიშნავი სხდომა გახსნა დივიზიონის სამხკომ ამხ. სანაკოევმა. პარიზის კომუნის შესახებ ვრცელი სიტყვა სთქვა არტილერიის სამხკომ ამხ. ჰკუასელმა. მდაბიო და ფრიად გასაგები ენით მშვენივრათ გადმოგვცა პარიზის კომუნართა გმირობა, რამაც დიდი სიმპატია გამოიწვია კომუნარებისადმი წითელ-არმიელებში. დამატებით სიტყვა სთქვა მე-2 ბატარიის პოლიტხელმა ამხ. კულუმბეკაშვილმა. მისი მოკლე სიტყვა სავსე იყო ცეცხლით. თითეული წინადადება მსმენელს ნაპერწკალივით ხვდებოდა გულში. უნდა ითქვას, რომ ჩვენი წითელ-არმიელებისათვის მეტი სასარგებლოა მოკლე სიტყვა და რაც შეიძლება მეტი მგრძნობელობით წარმოთქმული. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც არტილერიის სამხკომ ამხ. ჰკუასელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა. კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელიც გაჟღენთილია რევოლიუციონური სულით. წითელ-არმიელები ფიცსა სდებენ მოთხოვნილებისამებრ ეკვეთონ მტერს და მტვრათ აქციონ ის. იირადში ყოფნის დროს კი დაიცვან მშრომელთა და ტვირთ-მძიმეთა ხელისუფლება. რეზოლიუციაში აღნიშნულია აგრეთვე წითელ-არმიელებს რაც ძალი და ღონე აქვთ დაეხმარონ რევოლიუციონერთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოებას. კრება ინტერნაციონალით დაიხურა.

დ. ა—ძე.

ცალკე მესანგრე ასეულში.

17 მარტს, დილით „წითელ კუთხეში“ პოლიტ-საათზე ამხ. პლ. ჭელიძემ გაგვაცნო პარიზის კომუნის ისტორია, საღამოთი კი სამხკომმა, ამხ. ჯავახოვმა გააკეთა. მოხსენება ამავე თემაზე და დაუსურათა დამსწრეთ პარიზის კომუნა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომლის ნანგრევებზეც გაშალა ფრთა წითელმა ოქტომბერმა და შური იძია ბურჟუაზიაზე პარიზის კომუნის წამებულ გმირთა სასახელოდ.

კარგი სიტყვა სთქვა აგრეთვე წ. არ. ამხ. ხომერიკმა.

იყო შეკითხვები წითელ არმიელთა მხრით, რომელზედაც გაეცა დამაკმაყოფილებელი პასუხი.

მოხსენებას დაესწრენ, როგორც წ. არმიელნი, ისე პოლიტ და უფ-შემადგენლობა.

18 მარტს დილით „წითელ კუთხეში“ სამკითხველოს გამგე ამხ. კაპარავამ მოაწყო ხმა მაღალი კითხვა გაზეთებში მოთავსებულ წერილებით და მოგონებით პარიზის კომუნის შესახებ, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში.

საღამოს, ექსპედიციის მუშებთან ერთად, წითელ არმიელნი დაესწრენ ცენტრალურ კლუბში გამართულ საღამო—წარმოდგენაზე, რომელიც იყო მიძღვნილი პარიზის კომუნის 53 წ. თავის აღსანიშნავად.

სნი.

მე-3-მე ლეგიონში.

10 მარტს 1 ლ ტყვ. მფრ. ჯგუფის უფროსის და პოლიტხელის ინიციატორობით მოეწყო ზემოხსენებულ ჯგუფშიდ დეზერტირის გასამართლება, სადაც მონაწილეობას ღებულობდენ როგორც დამცველის ისე ბრალმდებელის როლებში თვით წ. არმიელები.

გასამართლებას დაესწრენ აგრეთვე მე-2-რე ტყვიისმფრქვევ ჯგუფის წ. ლაშქრელები, დეზერტირის როლში გამოვიდა წ. არმიელი, დაკლიანიძე. ბრალმდებლის როლში ამხ. ბაილიძე ნიკოლოზ, კაპანაძე ლავრენტი და გრიგოლ ნიშნიანიძე, დამცველად კი ამხ. ზუკაკოვი, ბუცხრიკიძე სიმონ და სარიშვილი. ნაფიც მსაჯულებათ აირჩიეს ამხ. გაბუნია, კაიაბეგოვი და ლადო გოგოლაძე.

ბრალმდებლები ბრალს სდებენ დეზერტირ დაკლიანიძეს იმაში, რომ მან თავის უფროსების დაუკითხავათ მიატოვა წ. ლაშქრის რიგები და გაიქცა და როგორც დამნაშავე მშრომელ მასის და თავიანთი ამხანაგების წინაშე მოითხოვდენ მის უმაღლეს სასჯელით დასჯას. დამცველები კი ამართლებდენ როგორც შეუგნებელი და მასთან ღარიბი ოჯახიდგან გამოსულს და მოითხოვენ სასჯელის შემსუბუქებას. კამათში მონაწილეობა მიიღეს ყველა წითელ არმიელებმა, აგრეთვე მონაწილეობა მიიღეს როგორც ასეულის თავმა ამხ. ქირიამ ისე პოლიტხელმა ამხ. ეფრემიძემ, დაესწრო მე-3 ლეგიონის პასუხისმგებელი ორგანიზატორი ამხ. მამარდაშვილი, რომელიც ბრალს სდებდა დეზერტირს. კამათმა გასტანა თითქმის საათი რის შემდეგ გავიდა ნაფიცი მსაჯულები და წ. არმიელები მოუთმენლად უცდიდენ განაჩენის გამოტანას. ნაფიცმა მსაჯულებმა ერთხმად სცნო დამნაშავეთ დეზერტირი დაკლიანიძე და მიუსაჯეს, როგორც მოღალატეს უმაღლესი სასჯელი. მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა რა მისი ოჯახური მდგომარეობა და სხვა, სასჯელი შეუცვალა ექვსი თვის ციხით და ერთ წელიწად ნახევარს წ. ჯარშიდ სამსახურით რაზედაც დიდი კმაყოფილი დარჩენ დამსწრე წითელ არმიელები. უსურვებ ჩვენს უფროს ამხანაგებს, რათა ხშირათ მოეწყოთ ასეთი გასამართლება და ამით ჩაებათ წ. არიიელები აღმშენებლობითი მუშაობაში.

შრომისშვილი.

ჩვენ გვყავს შეფი.

შედარებით სხვა ლეგიონებთან სამართლიანად უნდა ითქვას რომ შეფის მხრივ მე-3-მე ლეგიონი ძალიან გულდამწვარი იყო. მართალია შეფად გვყავს ადგილობრივი აღმასკომი, მაგრამ ყველამ კარგათ იცის რომ ის არ არის იმდენათ მდიდარი რომ თავისი ორგანიზაციებიც დაეკმაყოფილებინა და ჩვენთვისაც აღმოეჩინა რაიმე დახმარება.

შეძლებისდაგვარად რასაკვირველია გვეხმარებოდა, მაგრამ არა ისე როგორც სხვა ლეგიონების შეფები. 1924 წ. ჩვენმა ლეგიონმა აიყვანა შეფად სახალხო კომისართა საბჭო, რომლის პირველი მერცხალი უკვე მოვიდა ჩვენთან. მან მისცა ჩვენს ლეგიონს ასი თუმანი ჩერვონცით, რომლითაც შეიძლება გამოსწორდეს მე-3-მე ლეგიონის, როგორც კულტურული საქმე, ისე ეკონომიური. დღეს ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენცა გვყავს შეფი, რომელიც საგრძნობ დახმარებას გვაძლევს, და იმედს გამოვსთქვამთ, რომ მომავალშიაც არ დაგვივიწყებს. გაუმარჯოს ჩვენს ახალ შეფს, გაუმარჯოს ჩვენს მწყალობელს.

შრომისშვილი.

ცალკე საკავშირო ასეულში.

21 მარტს მოხდა კომუჯრედის ღია კრება, სადაც მოხსენება გააკეთა პარიზის კომუნაზე, ამხ. ჩხიკვიშვილმა და ყოველმხრივ განმარტა როგორც კომუნის წარმომშობი, ისე დამარცხების მიზეზები.

კამათის შემდეგ იყო წითელ არმიელთა შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც დააკმაყოფილა მომხსენებელმა.

კამათის დასრულებისას გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც ჩვენი წითელ—არმიელნი, უფ და პოლიტ-შემადგენლობა ფიცსა სდებს, რომ პარიზის კომუნის გმირებს არ დაივიწყებენ და მათგან დაწყებულ საქმის და ოქტომბრით დათავებულ და გამარჯვებულ საბჭოთა ფედერაციის საგუშაგოებზე ფხიზელი დარაჯობით შურს იძიებენ მათ ჯალათ ბურჟუაზიაზე.

ბოლოს, ინფორმაციული მოხსენება გააკეთა (კვირეული, საერთაშორისო) ამხ. ქშუტაშვილმა, რომელიც იქნა მიღებული ცნობად.

ს.

18 მარტი საარტილერიო პარკში.

18 მარტს 1924 წ. საარტილერიო პარკში შესდგა კრება „პარიზის კომუნის“ დღის აღსანიშნავად. კრებას თავ-და ამხ. ჯაფარიძე და მდივნობდა ამხ. ჩხიკვიშვილი კრების გახსნისას თავ-მარე ჯაფარიძე აცნობს კრებას 18 მარტის მნიშვნელობას მოკლედ და მოუწოდებს კრებას ფეხზე ადგომით და ინტერნაციონალის სიმღერით პატივი სცეს დაღუპულ კომუნარების ხსოვნას. პირველ სიტყვას ამბობს სამხკომი ამხ. კვირიკაძე მომხსენებელი აღნიშნავს პარიზის კომუნის მნიშვნელობას მშრომელი ხალხისათვის, ახასიათებს მას და მისი დამარცხების მიზეზებს. თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ჩხიკვიშვილი, რომელმაც აღნიშნა 18 მარტის მნიშვნელობა, დაახასიათა პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზი. სიტყვების დამთავრების შემდეგ სახ. ლოტბარი კავსაძის ხელმძღვანელობით საარტ-პარკის მომღერალთა გუნდის მიერ

შვებულების წინ.

წ. არმიელების წერილი დივიზიის სამხედრო კომისარს.

ამხ. თენგიზ!

ჩვენ 5-ე ასეულის წითელ არმიელები გთხოვთ ჩვენი სახით მადლობა გამოუცხადოთ საბჭოთა ხელის უფლებას, ვინაიდან ჩვენ ყაზარმებში მოსვლისას არაფერი არ ვიცოდით 25 ოქტომბრამდე. სწავლას გაურბოდით, მაგრამ შემდეგ ჩვენი ამხანაგების გამოცდებმა და კიდევ პოლიტხელის დარიგებამ და მასწავლებლის დანიშვნამ დაგვარწმუნა, რომ წერა კითხვა სასარგებლო ყოფილა და ჩვენც ძლიერ დავინტერესდით მით და ჩვენი ამხანაგებმა, რომლებიც აქ ხელს ვაწერთ წერა კითხვა კარგად შევისწავლეთ და გამოცდები სულ ყველამ კარგად ჩავაბარედ. ამის შემდეგ ჩვენ თვითონ შეგვიძლია წიგნებისა და გაზეთების კითხვა. მასწავლებელმა და პოლიტ ხელმა რაც შეგვძინა იმას ჩვენ არ დავკარგავთ დ სოფელში დაბრუნებისას ჩვენ გავხდებით მასწავლებლები ჩვენი უცოდინარ ამხანაგებისა და გავყვებით იმ ლენინიზმის გზას, რომელიც ჩვენ ჩვენმა პოლიტ-ხელმა ამხ. გეგიამ შეგვასწავლა. ჩვენ სულ ყველა ნამდვილი წითელ ფიცსა ვდებთ, რომ ვივლით ლენინიზმის გზით და ვიქნებით ერთგული დარაჯნი საბჭოთა ხელის უფლების.

ჩვენ ამ მოვალეობის მტკიცედ შესრულებაში ხელს გვიწყობს ის ცოდნა, რომელიც წითელ ყაზარმებში შევიძინეთ. ჩვენ არა დროს არ დაგვავიწყდება ჩვენი მასწავლებლები და ჩვენი სკოლა—წითელი ყაზარმა და ფიცსა ვდებთ, რომ გავმართოთ წერილების მიწერ მოწერა პოლიტ ხელთან, ჩვენ გზაზე დამყენებელ მასწავლებელთან, თქვენთან და მით შევიგნებთ, შევიძენთ იმ ცოდნას, რომელიც ჯერ არ შეგვითვისებია. ჩვენ ეხლა ვართ წერა-კითხვის მცოდნე, ვიცით მეტრიული ზომები, ვიცით გარჩევა ჩვენი საქართველოს რუქისა და ყოველი ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. ერთის სიტყვით ყოველივე ის, რაც ჩვენმა მასწავლებელმა შეგვასწავლა წერა კითხვის შესწავლის დროს სამი-ოთხი თვის განმავლობაში და რაც ჩვენმა პოლიტ-ხელმა აგვიხსნა პოლიტ საათის დროს, არაფერი არ გამოგვპარვია და აწი უფრო გავაფართოებთ.

ყველაფერმა, რაც შევითვისეთ ამ მოკლე ხანში ჩვენ დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა ხელის უფლება ჩვენთვის ზრუნავს, რისთვისაც მადლობას ვუძღვნით საბჭოთა ხელის უფლებას. ამხანაგური სალამს გიძღვნით თქვენ და მადლობას ვუცხადებთ ჩვენ მასწავლებლებს, პოლიტ-ხელს, ასეულის თავს და ჩვენს სამხკომს ამხ. ჯანგველაძეს. იმისთვის რომ ისინი დაინტერესებული იყვნენ ჩვენთვის ცოდნის გადმოცემაში. მე-5 ასეულის ჯგუფის მოწაფე წითელ არმიელები:

1. დემურაშვილი დავით. 2. პეტროსოვი. 3. ქიტიაშვილი. 4. გოგიაშვილი. 5. არჩვაძე. 6. იასაღაშვილი. 7. მაისურაძე. 8. ქარუმიძე. 9. კოჩარაშვილი. 10. ჯინაშვილი. 11. ტეხაშვილი. 12. ჩახიძე ნიკოლოზ. 13. ცოფურაშვილი. 14. გოგიჩაშვილი. 15. ქემახიშვილი. 16. ჩალახეშაშვილი. 17. მარტიროსოვი. 18. ფეზუაშვილი. 19. ასრათაშვილი 20. შავშაშვილი. 21. წარათაშვილი 22. ცოფურაშვილი. 23. ჯანგებაშვილი. 24. ტატუაშვილი. 25. სეფიაშვილი. 26. ნიკოლიძე. 27. ჩუჩლაშვილი. 28. პოპიაშვილი. 29. თამაგოვ. 30. ცხოვრებოვ. 31. ხარაზიშვილი. 32. ფეხმაშვილი.

შესრულებულ იქმნა დაღუპულ კომუნარების ხსოვნის საპატივცემლოდ „ინტერნაციონალი“, წითელ არმიელების მიერ მიღებულ იქნა პარიზის კომუნის დღის თავზე შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ, რა მოხსენებები პარიზის „კომუნის“—სისხლის მსმელ ბურჟუა კაპიტალისტების მიერ ვერაგულად განადგურების წლის თავის შესახებ, ჩვენ საარტილერიო პარკის პირადი შემადგენლობა ფიცსა ვსდებთ დახოცილ ამხანაგების ხსოვნის წინაშე, რომ იმ დროშით რომელიც მოპოვებულია ოქტომბრის რევოლიუციის მიერ მივიტანთ იმ მოედანზე სადაც განისვენებენ თავისუფლებისათვის მებრძოლნი პარიზის კომუნარები.

გაუმარჯოს დაღუპულ გმირების ხსოვნას პარიზის კომუნარებს!

გაუმარჯოს ოქტომბრის რევოლიუციას და მის მამამთავარს ამხ. ლენინს!

სამხკორი **ჩხიკვიშვილი.**

მეტრიული სისტემის ჩატარება ქ. დივიზიაში.

მეტრიული სისტემის ზომების შესწავლა ჩვენი დივიზიის ზოგიერთ ნაწილებში უკვე დამთავრდა.

უფ-პოლიტ შემადგენლობასთან და წითელ არმიელებთან გამოცდებმა ბრწყინვალედ ჩაიარა.

ამ დღეებში მოხდება გამოცდები მეტრიულ სისტემის ზომათა ცოდნის შესახებ პირველ და ცხენოსან ლეგიონში. ამის შემდეგ კი მეტრიული სისტემის ზომათა შესწავლა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სრულიად უნდა მივატოვოთ ვარჯიშობა. მასწავლებლებმა და მეთაურებმა, რომელთაც ჰქონდათ დავალებული მეტრიული სისტემის ზომების კომპანიის ჩატარება, არამედ დრო გამოშვებით უნდა აწარმოონ გამეორება და პრაქტიკული ვარჯიშობა: უნდა შეასწავლონ ხერხი მეტრიული სისტემის ზომების გადმოტანისა ჩვენს ზომებზე და ჩვენი ზომების მეტრიულ სისტემის ზომებზე.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სივრცის და მოცულობის ზომების პრაქტიკულად გატარებას. სასურველია რომელიმე ადგილი გავზომოთ მეტრიული სისტემის ზომებით და მერე ჩვენებური საზომით გავარკვიოთ თუ რა შეფარდებაა მათ შორის.

მოვზომოთ ერთი კვადრატიული გექტო-მეტრი და მერე მოვზომოთ საჟენით და გავიგოთ კვადრატიულ საჟენი რამდენს უდრის. გავზომოთ ოთხის მოცულობა მეტრით მერე კი არშინით. ასეთი ვარჯიშობა კი კარგათ შეათვისებინებს მეტრიული სისტემის ზომების ცოდნას და მათ მისცემს მთლიან წარმოდგენას მეტრიული სისტემის და ჩვენი ზომების შეფარდებაზე.

მერაბიშვილი.

პარტიული ცხოვრება.

1924 წ. 13 მარტს შესდგა მე-2-რე ლეგიონის მე-5 თე კომუჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრო უჯრედის უმრავლესობა და სანაპირო არტელის სამი წარმომადგენელი. თავმჯდომარეობდა კრებას ამხ. ნავასარდოვი, მდივნობდა ამხ. გოგუაძე.

დღის წესრიგი:

1) მისასალმებელი სიტყვები სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან.
2) წინა კრების ოქმის დამტკიცება.
3) კომინტერნის 5 წლის თავი.
4) მარქსის გარდაცვალების 41 წლის თავი.
5) პარიზის კომუნის 53 წლის თავი.
6) მიმდინარე კითხვები.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: სამხედრო ორგან. ამხ. ჭაავა და სამოქალაქო ორგანიზაციიდან ამხ. დუმბაძე, რომლებმაც სათანადოთ და მკაფიოდ გააცნეს კრებას კავშირის მნიშვნელობა ორგანიზაციათა შორის.

წინა კრების ოქმი იქმნა წაკითხული და მიღებული უცვლელად.

კომინტერნის 5 წლის არსებობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჩიხლაძემ, თანამომხსენებლად გამოვიდა ამხ. ჭაავა, რომლებმაც დაწვრილებით გააცნეს კრებას კომინტერნის 5 წლის არსებობის ისტორია, რის შემდეგ გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ჩიხლაძესი მესამე კომინტერნის 5 წლის თავის მნიშვნელობაზე, ჩვენ მეორე ლეგიონის მე-5 კომუჯრედის წევრები გამოვთქვამთ შემდეგ აზრს:

კომინტერნი წარმოიშვა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, რომლის დაარსება მოუხდა რუსეთის მუშათა კლასს. 1919 წლიდან კომინტერნი დგას ფხიზლად თავის სადარაჯოზე. ხელმძღვანელობს რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციას და შემდეგ მთელ ქვეყნის ჩაგრულ მუშათა კლასს. 5 წლის განმავლობაში მას უხდება მედგარი ბრძოლა მეორე ინტერნაციონალთან და სხვა შემთანხმებელ პარტიებთან.

დღეს მის დროშის ქვეშ დარაზმულია რამოდენიმე ათეული მილიონი მუშათა კლასი. ჩვენ მუდამ ფხიზლად ვიქნებით ჩვენს სადარაჯოზე, რათა კომინტერნის ბრძანებისთანავე გამოვიდეთ იარაღით ხელში და განვანთავისუფლოთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასი მათი მყვლეფელებისაგან.

მარქსის გარდაცვალების 41 წლის თავზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჭაავამ, რომელმაც სათანადოთ განმარტა მისი ისტორიული მნიშვნელობა როგორც მეცნიერული სოციალიზმის თეორიკოსის დამფუძნებელის.

მოხსენების შემდეგ მიღებულია სათანადო რეზოლიუცია.

პარიზის კომუნის 53 წლის თავზე მოხსენება გააკეთა ამხ. გოგუაძემ, რომელმაც ვრცლად და მკაფიოდ გააცნო კრებას პარიზის კომუნარების თავდადებითი ბრძოლა და ჯალათ ტიერის მხეცური მოქმედება ჩაგრულ პარიზის მუშათა კლასზე. მოხსენების შემდეგ იქნა გამოტანილი სათანადო რეზოლიუცია.

მიმდინარე საკითხში იყო დასმული რამოდენიმე კითხვები, რომლებზედაც იქნა გაცემული შესაფერი პასუხები.

ა. ნაჭყეპია.

ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის ღია კრება.

21 მარტს შესდგა კომუჯრედის ღია კრება ცალკე მესანგრე ასეულში, რომელსაც დაესწრნენ უმრავლესობა პარტამხანაგებისა და უპარტიო ამხანაგებიც დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხეი.

1. გასულ კრების ოქმის დამტკიცება.
2. პარტ-ამხ. მორიგეობითი მოხსენება.
3. პოლიტ-განყოფილებიდან გამოგზავნილ წერილის განხილვა.
4. მიმდინარე კითხვები.

გასულ კრების ოქმი დამტკიცებული იქმნა შეუცვლელათ. მორიგე მოხსენება გააკეთა პ.-ამხ. ხუცურაულმა რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიის შესახებ. მან ვრცლათ გააცნო კრებაზე დამსწრე ამხანაგებს, თუ რა განსაცდელი გაიარა და რა მდგომარეობაში იყო წინეთ კომუნისტური პარტია ხელის უფლების ხელში ჩაგდებამდე. პირველი მომხსენებლის შემდეგ ილაპარაკა მისმა თანამომხსენებელმა ამხ. ლომიძემ იმანაც კომუნისტურ პარტიის ისტორიის გარშემო. მოხსენების შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები მოხსენების გარშემო რაზედაც გასცეს დამაკმაყოფილებელი პასუხი მომხსენებლებმა.

პოლიტ-განყოფილებიდგან გამოგზავნილი წერილი წაიკითხა სამხკომმა ამხ. ს. ჯავახოვმა, სადაც აღნიშნული იყო საჰაერო ფლოტის გაძლიერების მნიშვნელობა. ამხ. ჯავახოვმა გააცნო ამხანაგებს თუ როგორი მდგომარეობაშია და ვის წინააღმდეგა საფრანგეთის მძლავრი საჰაერო ფლოტის მოქმედება მიმართული. მოუწოდებს ყველა ამხანაგებს რომ გახდენ საჰაერო ფლოტის წევრათ, რათაც გავაძლიერებთ ჩვენ საჰაერო ფლოტს. მიმდინარე კითხვებში იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც იქმნა გაცემული სათანადო პასუხი სამხკომის მიერ.

პარტკორი: **ვ. მეგრელი.**

ექიმის საუბარი წ. არმიელებთან

ცოტარამ ჭლექზე.

ჭლექი ეს უსაშინელესი მტერია კაცობრიობის გადაცვლილია. საერთო ჯამის თითქმის ერთი მესამედს ამ სენით დახოცილნი შეადგენენ.

ჭლექი განსაკუთრებით ღარიბთა წრეებს ეტანება, სადაც ვიწრო ბინები, ცუდი კვება, ზედმეტი მუშაობა, უსუფთაობა და სხვა დიდათ უწყობს ხელს მის გავრცელებას. ჭლექის გამომწვევ მიზეზად გერმანელი მეცნიერი კოხის მიერ აღმოჩენილი ჩხირის მსგავსი ბაცილა ითვლება. ეს ბაცილები ძალიან გამძლე ბაცილები არიან, მათ დიდხანს შეუძლიათ შეინახონ თავი სიმშრალეშიაც თუ მზის სხივები არ ხვდებათ. მზეზე კი ისინი შედარებით ჩქარა კვდებიან. ჭლექის ბაცილები მრავლად მოიპოვება ყველგან ჰაერში, განსაკუთრებით მჭიდროთ დასახლებულ და მტვერიან ადგილებში. სუნთქვის დროს ადამიანი ამ ბაცილებს ბლომად ჩაისუნთქავს ჰაერთან ერთად, მაგრამ კვების კარგ პირობებსა და ზომიერი ცხოვრების დროს ორგანიზმი მათ ინელებს, ხოლო დასუსტებული და დაღლილი ორგანიზმი მათ ველარ ერევა და ადამიანი შეიძლება დასნეულდეს ჭლექით.

ამ გვარად თვით ჭლექის ბაცილა, რომელიც თითქმის ყოველთვის მოიპოვება ორგანიზმში, არ არის იმდენად საშიში რამდენადაც ის პირობები, რომელნიც საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენენ მათი განვითარებისათვის. ჭლექის ბაცილა შეიძლება განვითარდეს ადამიანის ორგანიზმის ყველა ნაწილებში: კანზე, ძვლებში, სახსრებში, ნაწლავებში, ფილტვებში და სხვა.

ჭლექის გავრცელების უმთავრეს წყაროდ თვით ჭლექით ავადმყოფი უნდა ჩაითვალოს. ჭლექით ავადმყოფი ადამიანის ამონახველში მრავლად მოიპოვება კოხის ბაცილები, ავადმყოფი უმეტესად აფურთხებს იატაკზე ან გზაში, (რაც ყოვლად შეუწყნარებელია) გამხმარი ნახველი იქცევა მტვრად, შეერევა ჰაერს და აქედან სუნთქვის საშვალებით შეიძლება შეიჭრას მეორე, ჯანსაღი ადამიანის ორგანიზმში, სადაც როგორც ზევითაც იყო მოხსენებული თუ ბაცილას თავის განვითარებისათვის კარგი პირობები დახვდა (ე. ი. თუ ორგანიზმი დაღლილი და დასუსტებული იქნა) იგი იწყებს განვითარებას და გამოიწვევს ჭლექით დასნეულებას. ამ გზით ხდება ფილტვების და საერთოდ სასუნთქი ორგანოების ჭლექით დაავადმყოფება.

საჭმლის მომნელებელ ორგანოებში, მაგალ. ნაწლავებში ჭლექის განვითარების მიზეზი, საჭმელთან ერთად გადაყლაპული ჭლექის ბაცილები არიან. ნაწლავების ჭლექი უფრო ხშირად ფილტვებით უკვე დაავადმყოფებულ ადამიანს უჩნდება რადგან ასეთი ავადმყოფი ნახველთან ერთად მრავლად ყლაპავს ჭლექის ბაცილებს. მაგრამ ნაწლავების ჭლექი ფილტვებით საღ ადამიანსაც შეიძლება გაუჩნდეს, თუ იგი ისეთ საჭმელს ღებულობს, რომელიც ჭლექის ბაცილებს შეიცავს. ამ შემთხვევებში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჭლექით ავადმყოფი ძროხის რძეს.

ძროხას ჭლექი უმეტესად ჯიქანზე უჩნდება, აქედან ჭლექის ბაცილები შეერევიან რძეს ასეთი რძის მიღება კი გამოიწვევს ნაწლავების ჭლექით დასნეულებას. ამიტომ ნაწლავების ჭლექი მეტად გავრცელებულია ისეთ ბავშთა შორის, რომლებსაც ძროხის რძით კვებავენ.

იმის შესახებ, თუ როგორ ავიცდინოთ თავიდან ჭლექი ან და როგორ ვებრძოლოთ უკვე დაწყებულ სენს შემდეგ ვილაპარაკოთ.

ლ—და.

ჩვენი ფოსტა

ამხ. **გუჯაბიძეს**—თქვენი წერილი გადაეცა პარტკომისიას.

პარტ-კორს ამხ. **მეგრელიშვილს.**

კორესპონდენციები სწერედ ცალ გვერდზე.

ჩერვონეცის კურსი 28 მარტს

1 **ჩერვონეცი 20,000,000,000.**

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1 ქ.= 20,000,000	37 ქ.=740,000,000	73 ქ.=1,460,000,000
2 ქ.= 40,000,000	38 ქ.=760,000,000	74 ქ.=1,480,000,000
3 ქ.= 60,000,000	39 ქ.=780,000,000	75 ქ.=1,500,000,000
4 ქ.= 80,000,000	40 ქ.=800,000.000	76 ქ.=1,520,000,000
5 ქ.= 100,000,000	41 ქ.=820,000,000	77 ქ.=1,540,000.000
6 ქ.=120,000,000	42 ქ.=840,000,000	78 ქ.=1,560,000,000
7 ქ.=140,000,000	43 ქ.=860,000,000	79 ქ.=1,580,000,000
8 ქ.=160,000,000	44 ქ.=880,000,000	80 ქ.=1,600,000,000
9 ქ.=180,000,000	45 ქ.=900,000,000	81 ქ.=1,620,000,000
10 ქ.=200,000,000	46 ქ.=920,000,006	82 ქ.=1,640,000,000
11 ქ.=220,000,000	47 ქ.=940.000,000	83 ქ.=1,660,000,000
12 ქ.=240,000,000	48 ქ.=960,000,000	84 ქ.=1,680,000,000
13 ქ.=260,000,000	49 ქ.=980,000,000	85 ქ.=1.700,000,000
14 ქ.—280,000,000	50 ქ.=1,000,000,000	86 ქ.=1,720,000,000
15 ქ.=300,000,000	51 ქ.=1,020,000,000	87 ქ.=1,740,000,000
16 ქ.=320,000,000	52 ქ.=1,040,000,000	88 ქ.=1,760,000,000
17 ქ.=340,000,000	53 ქ.=1,060.000,000	89 ქ.=1,780,000,000
18 ქ.=360.000.000	54 ქ.=1,080,000,000	90 ქ.=1,800,000,000
19 ქ.=380,000,000	55 ქ.=1,100.000,000	91 ქ.=1,820,000,000
20 ქ.=400,000,000	56 ქ.=1,120,000,000	92 ქ.=1,840,000,000
21 ქ.=420,000,000	57 ქ.=1,140,000,000	93 ქ.=1,860,000,000
22 ქ.=440,000,000	58 ქ.=1,160,000,000	94 ქ.=1,880,000,000
28 ქ.=460,000,000	59 ქ.=1,180,000,000	95 ქ.=1,900,000,000
24 ქ.=480,000,000	60 ქ.=1,200,000,000	96 ქ.=1,920,000,000
25 ქ.=500,000,000	61 ქ.=1,220,000,000	97 ქ.=1,940,000,000
26 ქ.=520,000,000	62 ქ.=1,240,000,000	98 ქ.=1,960,000,000
27 ქ.=540,000,000	63 ქ.=1,260,000,000	99 ქ.=1,800,000.000
28 ქ.=560,000,000	64 ქ.=1,280,000,000	1 მ.=2,000,000,000
29 ქ.=580,000.000	65 ქ.=1,300,000,000	2 მ.=4,000,000,000
30 ქ.=600,000,000	66 ქ.=1,320,000,000	3 მ.=6,000,000,000
31 ქ.=620,000,000	67 ქ.=1,340,000,000	4 მ.=8,000,000,000
32 ქ.=640,000,000	68 ქ.=1,360,000,000	5 მ.=10,000,000,000
33 ქ.=660,000,000	69 ქ.=1,380,000,000	6 მ.=12,000,000,000
34 ქ.=680,000,000	70 ქ.=1,400,000,000	7 მ.=14,000,000,000
35 ქ.=700,000,0“0	71 ქ.=1,420,000,000	8 მ.=16,000,000,000
36 ქ.=720,000,000	72 ქ.=1,440,000,000	9 მ.=18,000,000,000
		10 მ.=20.000.000.000

განცხადება.

ქართულ მსროლელ დივიზიის პარტ-კომისია აცხადებს კომპარტიაში შემოსვლელ მსურველთ გვარებს, სთხოვს ყველა მოქალაქეთ, მეთაურთ, წითელ არმიელთ, თუ ვინმე იცის აღნიშნულ ამხანაგების უარყოფითი მხარეები აცნობოთ პარტ-კომისიის მდივანს ერთი კვირის განმავლობაში.

1) ოგანეზოვი ალექსანდრე ალექსის-ძე 1-ლ ქართულ ლეგიონის
2) კაპანაძე ბაგრატი სერაფიონის-ძე ქ. დ. პოლიტ-სკოლის.
3) დულუნაძე ირაკლი ივანეს-ძე ქ. დ. პოლიტ-სკოლის.

ქ. მ. დ. პარტ-კომისიის პასუხის- მგებელი
მდივანი—**მამულაშვილი.**

მისამართი: ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილება. პარტ-კომისია.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1,300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8 პასუხისმგებელი რედაქტორი: **ლ. ჩანტლაძე**